

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭაჩიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 16 “ 01 “ 2015 წელი

ეგზ. № 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში (01.01.2012 - 01.01.2014)

აქ 10/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
შენობა-ნაგებობები	7
დამთავრებული ძირითადი აქტივი	9
„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“	10
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები	10
სუბსიდიები	11
სოციალური უზრუნველყოფა	11
სხვა ხარჯები	12
გრანტები	13
ძირითადი აქტივი	14
საცხოვრებელი შენობები	14
ინვენტარიზაცია	15
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	17
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	17
შენობა-ნაგებობები	17
საცხოვრებელი შენობები	20
პრემია	20
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	20
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები	21
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	21
სუბსიდია	22
სოციალური უზრუნველყოფა	23
სხვა ხარჯები	24
ძირითადი აქტივი	24
ინვენტარიზაცია	25
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	26
2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	28
2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	45
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	62
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	62

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.


ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებას.

იმის გამო, რომ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობებია, წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 17443.2 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 15157.0 ათასი ლარი (86,8%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 4464.5 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 220.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 10471.5 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.


დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2012 წელი



2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 18072.1 ათასი ლარი. გადასახდელების 56%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 44%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობების, გზისა და წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე გარე განათების სამუშაოები.

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 11824.8 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 8859.2 ათასი ლარი (75%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 4365.8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 220.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 4 273.4 ათასი ლარი, მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

დიაგრამა 2: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2013 წელი



2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 11905.4 ათასი ლარი. გადასახდელების 64%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 36%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2012 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შენობა-ნაგებობები

გარემოება. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეისყიდა 124.0 ათასი ლარის ქუჩების რეაბილიტაციისა და სადრენაჟე არხების მოწყობის სამუშაოები¹. შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოები, ნაცვლად „არაფინანსური აქტივის ზრდისა“, აღიარებულია „მიმდინარე ხარჯის“ მუხლში.

¹ ქუჩები -116.2 ათასი ლარი, სადრენაჟე არხები -7.8 ათასი ლარი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 124.0 ათასი ლარით.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილი „სხვა ხარჯების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან სამუშაოების აქტივად აღიარების ოპერაცია არ განხორციელებულა, დასარიცხი თანხა ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, № 2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა - №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

გარემოება 2: 2012 წლამდე მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებულია 19 ობიექტი, რომელზედაც განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს 2241.39 კვ. მ-ს (დაკავებული მიწის ფართობია 30375.8 კვ.მ). საკუთრებაშია რეგისტრირებულია აგრეთვე 507113.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 30 ნაკვეთი და 2000.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთი ფართობი.

2012 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებულია 3 ობიექტი, რომელთაგან ორზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ფართობი შეადგენს 1111.2 კვ. მ-ს (დაკავებული მიწის ფართობია 4367 კვ. მ), ერთი ნაკვეთი - 223.9 კვ.მ ფართობისა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.

აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართ ფორმა №5).

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

გარემოება. 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 1.2 ათასი ლარის გაზიფიცირების საპროექტო მომსახურების შესყიდვა². როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. იქიდან გამომდინარე, რომ გაზიფიცირების სამუშაოები³ შესრულდა 2013 წელს, საპროექტო მომსახურების ღირებულება ნაცლად „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა, წარმოდგენილი უნდა იყოს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლში. სამუშაოს განხორციელების შემდეგ პროექტის ღირებულება დაემატებოდა აქტივის ღირებულებას.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი შემცირებულია 1.2 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

² შპს „ცისფერი ალი“.

³ ხელშეკრულება №27.

- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილ „საქონელი და მომსახურების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“

გარემოება. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან გასწია 30.4 ათასი ლარის ხარჯი, მათ შორის, ბაღების ალტერნატიული პროექტი -17.9 ათასი ლარი, სასპორტო პროგრამები - 12.5 ათასი ლარი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ეს ხარჯები მიეკუთვნება „სუბსიდიების“ მუხლს. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „სუბსიდიების“ მუხლისა.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 17.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რეზერვისტების გადაყვანასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯიდან, 8.6 ათასი ლარი წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 8.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სუბსიდიები

გარემოება. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სუბსიდიების“ მუხლიდან გასწია 1305.7 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული მოიცავს ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის გაერთიანების“ და ხაშურის „სპორტსკოლისათვის“ გადარიცხულ 145.5 ათას ლარს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში ნაცვლად „სუბსიდიების“ მუხლისა, წარმოდგენილია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სუბსიდიის“ მუხლი შემცირებულია 145.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება1. ფინანსურ ანგარიშგებაში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში წარმოდგენილია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრისათვის“ გადარიცხული 87.3 ათასი ლარი, რომელიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მიეკუთვნება „სუბსიდიების“ მუხლს. შესაბამისად, მისი წარმოდგენა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაზრდილია 87.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი

გარემოება 2. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, ა(ა)იპ - საზოგადოება „ბილიკისათვის“ თხოვნების ფორმით გადაცემული 4 ცალი კომპიუტერი, ღირებულებით 3.8 ათასი ლარი, ნაშთად ირიცხება ძირითად ქონებაში „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია არასწორად სოციალური უზრუნველყოფის მუხლის ფაქტობრივ შესრულებაში.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაზრდილია 3.8 ათასი ლარით.

სხვა ხარჯები

გარემოება 1. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვადასხვა ხარჯების“ (კაპიტალური) მუხლით გასწია 2031.3 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული თანხა მოიცავს ქუჩების, გზების, შენობების რეაბილიტაციასა და სხვადასხვა სახის ოპერაციებს, რომლებიც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღიარებულია, როგორც „არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციები“ და შესაბამისად, ასახულია მუხლში „არაფინანსური აქტივის ზრდა“. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ მუხლში წარმოდგენილი თანხიდან თავისი შინაარსით, არც ერთი ოპერაცია არ ექვემდებარება „კაპიტალურ ხარჯად“ აღიარებულ ოპერაციებს. ეს ოპერაციები ფაქტობრივად არის „არაფინანსური აქტივის ზრდა“ და მათი აღიარება (კლასიფიკაცია) „სხვადასხვა ხარჯად (კაპიტალურ)“ - არასწორია. შესაბამისად, მათი წარმოდგენა (კლასიფიკაცია) „სხვა ხარჯის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის - დანართი ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2. სადაზღვევო კომპანიებმა⁴ საგარანტიო უზრუნველყოფის თანხები 14.5 ათასი ლარი, ხაზინის ანგარიშის გავლის გარეშე ჩარიცხა ხაშურის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა თანხა გადარიცხა ხაზინის ანგარიშზე, რომელიც შემდეგ მას უკან დაუბრუნდა. ხაზინაში თანხის ჩარიცხვა მუნიციპალიტეტის მიერ აღრიცხულია არასწორად, როგორც ხარჯი „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, №3) „სხვა ხარჯების“ მუხლის სისწორეზე.

გრანტები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შევსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში, გრანტის სახით მიმართული 2290.0 ათასი ლარი, არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა №3-ში „ხარჯების“ მუხლში. აღნიშნული თანხით შემცირებულია ფინანსური ანგარიშგების ფორმა №3-ში ასახული შემოსავლები.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) 2290.0 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ხარჯები და შემოსავლები.

⁴ სადაზღვევო კომპანია შპს „სეტი“ - 8.8 ათასი ლარი და სადაზღვევო კომპანია შპს „ჩესი“ - 5.7 ათასი ლარი.

ძირითადი აქტივი

გარემოება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, წლის განმავლობაში შეიქმნა 8265.6 ათასი ლარის ძირითადი აქტივი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №5-ში წარმოდგენილია 18029.4 ათასი ლარით. სხვაობა - 9763.8 ათასი ლარი, წარმოადგენს ჩამოწერილ დაუმთავრებელ ძირითად აქტივს, რომელიც წლის განმავლობაში განაწილდა ძირითადი აქტივის შესაბამის მუხლებს შორის. ამდენად, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ძირითადი აქტივის“ მუხლში დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი ორჯერ არის ასახული, რაც არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №5) „ძირითადი აქტივის“ მიღებისა და გასავლის მუხლები გაზრდილია 9763.8 ათასი ლარით.

საცხოვრებელი შენობები

გარემოება. 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 1056.5 ათასი ლარი და ფასადების სარემონტო-სამღებრო სამუშაოები, ღირებულებით - 418.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „მიმდინარე ხარჯების“ მუხლში. მუნიციპალიტეტმა სასურველია მოახდინოს შესრულებული სამუშაოების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 1474.6 ათასი ლარით.

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხიმგებელი პირის განმარტებით, 2012 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გავლენა

- რადგან მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ ხორციელდება:
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
 - აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
 - გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
 - არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
 - ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
 - აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შენობა-ნაგებობები

გარემოება1. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „ომონისგან“ განახორციელა 6.6 ათასი ლარის ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა⁵. როგორც ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის

⁵ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2013 წლის განმავლობაში მიმდინარე სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე გახარჯული თანხები დამატებული უნდა იყოს შესაბამისი აქტივის ღირებულებაზე და მისი წარმოდგენა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 6.6 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1; ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

გარემოება2. მუნიციპალიტეტმა განახორციელა დევნილთა დასახლებაში გაზიფიცირების სამუშაოები, ღირებულებით - 52.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „მიმდინარე ხარჯების“ მუხლში. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა მოახდინოს შესრულებული სამუშაოების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 52.0 ათასი ლარით.

გარემოება 3: 2013 წლამდე მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებულია 21 ობიექტი, რომელზედაც განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს 3352.6 კვ. მ-ს (დაკავებული მიწის ფართობია 34742.8 კვ.მ). საკუთრებაში რეგისტრირებულია აგრეთვე 507336.9.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 31 ნაკვეთი და 2000.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთი ფართობი.

2013 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებულია 4 ობიექტი, რომელთაგან ერთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ფართობი შეადგენს 1628.1 კვ. მ-ს (დაკავებული მიწის ფართობია 17922.0 კვ.მ). დანარჩენი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სამი ნაკვეთის ფართობი კი - 11578.0 კვ. მ-ს შეადგენს.

აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების მუხლები“ (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

საცხოვრებელი შენობები

გარემოება. 2013 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტმა განახორციელა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების სარემონტო სამუშაოები, ასევე წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 324.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „მიმდინარე ხარჯების“ მუხლში. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა მოახდინოს შესრულებული სამუშაოების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 324.2 ათასი ლარით.

პრემია

გარემოება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, „პრემიის“ მუხლით გაცემულია 608.8 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 611.8 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „პრემიის“ მუხლი გაზრდილია 3.0 ათასი ლარით.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

გარემოება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, შტატგარეშე მომუშავეებისათვის გაცემულია 330.1 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 324.7 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლი შემცირებულია 5.4 ათასი ლარით.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯიდან, 1.8 ათასი ლარი აღიარებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 1.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურებისათვის გასცა 127.5 ათასი ლარი. თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული წესი⁶. დადგენილების თანახმად, საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯი აუნაზღაურდებათ ყოველთვიურად, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ამ მიზნით,

⁶ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის №48 დადგენილება .

ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე ანაზღაურებულია 127.5 ათასი ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ ხარჯი. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

გარემოება 2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრებისათვის 2013 წელს ანაზღაურებულია 6.5 ათასი ლარი. აღნიშნული ბუღალტრულად აღიარებულია, როგორც „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

სუბსიდია

გარემოება 1. ხაშურის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების „სპორტსკოლისათვის“ 2013 წელს გადარიცხულია 16.8 ათასი ლარი, რომელიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მიეკუთვნება „სუბსიდიების“ მუხლს. აღნიშნული ბუღალტრულად აღიარებულია „სუბსიდიების“ მუხლში, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №2-ში ნაცვლად „სუბსიდიების“ მუხლისა, წარმოდგენილია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 16.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი

გარემოება 2. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან გასწია 212.1 ათასი ლარის ხარჯი, მათ შორის, ბაღების ალტერნატიულ პროექტებზე - 29.6 ათასი ლარი, სასპორტო პროგრამებზე - 136.7 ათასი ლარი, კულტურულ ღონისძიებებზე - 45.8 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მიეკუთვნება „სუბსიდიების“ მუხლს, ფინანსურ ანგარიშგებაში კი წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „სუბსიდიების“ მუხლისა.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 212.1 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში წარმოდგენილია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრისათვის“ გადარიცხული 85.9 ათასი ლარი, რომელიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მიეკუთვნება „სუბსიდიების“ მუხლს. შესაბამისად, მისი წარმოდგენა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაზრდილია 85.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

სხვა ხარჯები

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვადასხვა ხარჯების“ (კაპიტალური) მუხლით გასწია 497.4 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული თანხა მოიცავს ქუჩების, გზების, შენობების რეაბილიტაციასა და სხვადასხვა სახის ოპერაციებს, რომლებიც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღიარებულია, როგორც „არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციები“ და შესაბამისად, ასახულია მუხლში „არაფინანსური აქტივის ზრდა“. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ მუხლში წარმოდგენილი თანხიდან თავისი შინაარსით, არც ერთი ოპერაცია არ ექვემდებარება „კაპიტალურ ხარჯად“ აღიარებულ ოპერაციებს. ეს ოპერაციები ფაქტობრივად არის „არაფინანსური აქტივის ზრდა“ და მათი აღიარება (კლასიფიკაცია) „სხვადასხვა ხარჯად (კაპიტალურ)“ - არასწორია. შესაბამისად, მათი წარმოდგენა (კლასიფიკაცია) „სხვა ხარჯის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის - დანართი ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლი 497.4 ათასი ლარითაა გაზრდილი.

ძირითადი აქტივი

გარემოება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, წლის განმავლობაში შეიქმნა 3730.2 ათასი ლარის ძირითადი აქტივი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №5-ში წარმოდგენილია 7796.8 ათასი ლარით. სხვაობა 4066.6 ათასი ლარი წარმოადგენს ჩამოწერილ დაუმთავრებელ ძირითად აქტივს, რომელიც წლის განმავლობაში განაწილდა ძირითადი აქტივის შესაბამის მუხლებს შორის. ამდენად, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ძირითადი აქტივის“ მუხლში მისი ორჯერ ასახვა არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №5) „ძირითადი აქტივის“ მუხლი გაზრდილია 4066.6 ათასი ლარით.

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხიშემგებელი პირის განმარტებით, 2013 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია ჩატარდა ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში, თუმცა არ მომხდარა

ინვენტარიზაციის შედეგების შეჯამება და ინფორმაციის სახით საკრებულოს თავმჯდომარისადმი წარდგენა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა

- რადგან მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ ხორციელდება:
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
 - აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
 - გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
 - არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
 - ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
 - აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

ორგანიზაციის ბალანსი

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფორმა №1)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	1540548	917822
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	2240	3065
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
